

რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.
ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეუკუნე მცხოვრებთათვის ადრესი: В. Тифлисъ, 1-я редакціо «Дრობა»

დროება

უასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართლის რუსულს და სხვა ენებზე.
თუ საქართვებ მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბუქდად გამოცხადებულ წერილებს. დაუბუქებულ წერილებს რედაქცია ვერ დაუბუქებს ავტორს.

«დროების» ფასი
მთელის წლისა . . . 9 მან. სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა . . . 1 მან.

გამოდის ყოველ დღე ორ შაბათს გარდა.

წაგვიწერეთ «დროებისა» ღირს 5 კაპიეო

27 სექტემბერი «დროების» რედაქცია გადავიდა ახალს სადგურში, სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

საუბრაგაგი

(ჩრდილოეთის სააგენტოსია.)

4 ოქტომბერს.

სიმაღ. ავგანელებმა ვიხანნი და-იპურეს ავგისტოში იმ აზრით, რომ ახადგინონ თვისი უზენაესი უფლებანი, რომელნიც დაჰკარგეს მათ ინგლის ავგანის ომის დროს.

პატიმარში. დღეს მოვიდა აქ იერუსალიმის პატრიარხი ნიკოდიმი, რომელიც, როგორც ისმის, აუდიენციას ედირსება.

ნოემბერში პირველსავე სხდომაზე სისწლის სამართლის კასაციის დეპარტამენტში განიჩნება კრონშტადტის ბანკის საქმე, რომელიც გადიტანა იქ პროკურორმა და ბრადდებულებმა; საქმეს დასკვნის ობერ პროკურორი ნეკლიუდოვი.

«დროების» ქელტონი, 6 ოქტომბ.

ჩვენი გლახ-კაცობა და აქციონის სახე (ორიოდე შენიშვნა)

წარსულს მეფობას, სახელმწიფო მეურნეობაშიც თან ბევრი საყურადღებო ცვლილება მოჰყვა. როდესაც შემოიღეს სხვა-და-სხვა რეფორმები, საქართვებ ითხოვედა სახელმწიფო მეურნეობაც შეეცვალათ და შესცვალეს კიდევ, თუმცა ძირეულად კი არა. ძველი თეორია, რომლის ძალით სახელმწიფოს ხარჯის ძლევა ზოგიერთა წოდებისათვის ვითომ სათაკილო და დამამკირებელს მოვალეობას შეადგენს, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, ბევრად შეუცვლელი დარჩა, თუმცა შეცნიერებამ დიდი ხანია დაამტკიცა, რომ ყველა წოდების კაცი ერთი და იგივე მოქალაქეა სახელმწიფოში, ერთი და იგივე ტვირთის მზიდველი, რადგანაც სახელმწიფო ერთნაირად უნდა ზრუნავდეს ყველა თავის ქვეშევრდომებზე. ჩისთვის არ მოსპვს ძირეულად ძველი თეორია, ამაზედ არაფერს ვიტყვი. მკითხველი ჯერ-ჯერობით იმას ნუ დაივიწყებს, რომ ძველის თეორიის არსების დროს, საქართვებ იყო სახელმწიფო მეურნეობას გამოეყენებნა ახალი შემოსავალი და ამისათვის მეურნეობამ მიმართა მრავალ გვარ ბაჟის შემოღებას.

ბაჟის დადება სხვა-და-სხვა ნაწარმებზე ცოტათი მაინც ასუსტებს შე-

კონსტანტინეპოლში. კუნძულ ხიოსზე ძლიერი მიწის-ძვრა მოხდა და ამ დროს რამდენიმე სახლი დაინგრა და მრავალი ხალხი დაზიანდა; მიწის-ძვრას გრძობდენ აგრეთვე სირიაში, დარდანელში, სპირნაში და ავალიკში.

ზაბრში. დღეს, სამეფო კომისარის თანადასწრებით და სამხედრო მესიკის კვრით, სალდათების როტებმა ჩამოხსნეს ჭინანსთა უწყების შენობიგან სახელმწიფო ნიშნები, რომელთაც შეწარწერები ჰქონდათ ხორვატულს და მადიარულს ენებზე, და შესცვალეს ნიშნებით, რომელთაც არავითარი შეწარწერა არა აქვთ.

თბილისი, 5 ოქტომბერს.

ტყეების სიმრავლეზედ და სიმცირეზედ მარტო სეტყვა არ არის დამოკიდებული; თითქმის ყოველს ბუნების მოვლენას შორეული თუ ახლო კავშირი აქვს მასთან და უტყუო კავშირს მოკლის დიდი სიციხეებიც, დიდი ნიაღვრებიც, გვალვაც, ქარიშხალიც და სხვა იმისთანა პირობები, რომელნიც უტყუო მხარეს ადამიანისათვის უფარვის ადგილათა ჰხდინან. საჯოს თვითონ მკითხველმა, როგორ საჭიროა, აუცილებლად საჭიროა ამ ბუ-

მოდ ნაჩვენების თეორიის ძალას, მის გაგონას ხალხის ზნეობაზე, კეთილდღეობაზე და ამ მხრით იქნება მკითხველმა კიდევ იფიქროს, რომ ბაჟის დაარსება სახელმწიფო მეურნეობის წარმატებას და განვითარებას მოასწავებსო. რატომაც არა, თუ კი ბაჟი ისე იქნება მოწყობილი, რომ მცხოვრებლების უმრავლესობას არ ავიწროებდეს, სიცოცხლეს არ უძნებდეს; საქმეც ის არის—რაზედ და როგორ წესდება ბაჟი. მეურნეობით პოლიტიკას მეროპის და დაწინაურებული სახელმწიფოებში პროგრამად ის ჰქონია, რომ თუ სრულებით არ მოესპოთ, შესამჩნევად შეემცირებინათ მისი ისეთი ბაჟი, რომელიც უფრო დაბალს ხალხს აწევს კისერზე და ეკონომიურად სხაგრავს მას. მეურნეობითი პოლიტიკის ამ ნაირი მიმართულება ხშირად თითონ ხალხის საქმე ყოფილა. მეროპის ხალხთა ახალი დროის მოძრაობას რომ დააკვირდეთ, ცხადად დაინახავთ—თუ რა ნაირის კადნიერებით შევიწროებულნი ხალხი ითხოვედა ესა და ეს ბაჟი მოისპოსო (მაგ., იტალიაში ნაფქავზედ ბაჟი). ხალხი მართალიც იყო. როგორც თეორია, ისრე სინამდვილე ითხოვედა ასეთმა თუ ისეთმა ბაჟმა არ გაუძნებლოს უმრავლესობას ცხოვრება, ეკონომიური კეთილდღეობა არ დაარღვიოს სახელმწიფოში. ეს ხომ მაშინაც მოხერხდება, როდესაც ბაჟი არ ედება იმ ნაწარმებებს, ურომლოთაც საზოგადოების ღარიბს ნაწილს ან ცხოვრება არ შეუძლიან, ან თუ შეუძ-

ნებისაგან მოციმულ სიმდიდრის დაცვა და რიგიანად ხმარება და როგორ პირ-შენი არიან შთამომავლობისა და კაცობრიობის წინაშე ის პირნი, რომელნიც მომავალზედ უფიქრელად სპობენ ამ ძვირფას საუნჯეს.

ისე მარჯვე დროს ვერ შევხედებთ ამ საგანზედ სალაპარაკოდ, როგორც ესლა, როდესაც ჩვენ გვესტუმრა სახელმწიფო ქონებათა მინისტრი, რომლის გამგებლობაშიაც არის მოქცეული ტყეების საქმე. მით უფრო მარჯვეა ეს დრო, რომ თითონ მინისტრი ავის თვლით უსტყარის მთელს რუსეთის იმპერიაში დაუნებლად ტყეების გაწყობას და თითონვე ცდილობს ამ მაგნიტის მოვლენის თავიდან აცილებას.

ზაზეთები გვაცნობდენ, რომ ხსენებულს მინისტრს ამ დღეებში სახელმწიფო რჩევაში წარუდგენია თავისი აზრი ამ საგანზედ და შემდეგი საშუალება უცნაო მიღების ღირსად: აიკრძალოს გაჩება იმ ტყეებისა, რომელნიც თავიანთ არსებობით იფარვენ ქალაქებს, სოფლებს, მდინარეებს, ზოგს ქარიშხლისა და ქვიშის ბუქისაგან, ზოგს ზვავებისაგან და მეორე გვარ ტყეების ხმარება რიგიანს საუფუძველზედ იყოს დამყარებული. სხვათა შორის, მინისტრს უშუამდგომლია, რომ

ლიან მეტად დიდს გაჭირვებით. მაგრამ ხშირად სახელმწიფო მეურნეობას უარუყვია ეს მარტივი აზრი და სხვა შენდულობით, უსაფუძვლო მოსაზრებით უხელმძღვანელია. სახელმწიფო საქართვებს დიდს შემოსავალს და თუ ბაჟი დაედო ისეთს ნაწარმებზე, რომელსაც უმრავლესობა ჰხმარობს, მაშინ შემოსავალიც დიდი იქნება—აი დასაბამი და დასასრული ზოგიერთა სახელმწიფოების მეურნეობითი სიბრძნისა. სამწუხაროდ ამ სიბრძნეს ერთი რამ მოსაზრება აკლია,—ენლაც ხალხის უმრავლესობა თითქმის ყველა სახელმწიფოში ღარიბებისაგან შესდგება და ღარიბს აბა რაღა გაღარიბება მოეთხოვება. ძიდეც ამიტომ სხვა ბანაკის მწერალი ითხოვენ ბაჟი დასდონ მარტო იმ ნაწარმებებს, რომელსაც მდიდარი და შემძლებელი საზოგადოება ხმარობს (предметы роскоши). თითონ მკითხველსაც ეცოდინება, რა ბრძოლა სუფევს ამ ორის ბანაკის წარმომადგენელთა შორის. ამის გამო მასზე არას ვიტყვი. აქ შევნიშნავთ მხოლოდ, რომ რუსეთის მეურნეობითი პოლიტიკა მაგრე რიგად არ ესარჩლება ახალი ბანაკის წარმომადგენლებს, ალბად იმიტომ, რომ მათ სწავლაში ვერ ჰპოვენს კეთილდღეობას. ჩვენ ამ ქამად სასმელის, განსაკუთრებით არაყის, ბაჟზე გვექნება ბაასი. არაყის ბაჟი, როგორც საზოგადოდ აწინდელი მეურნეობითი სისტემა, არ მოაზოვებოდა ძველ საქართველოში; კიდევ ამიტომ ეს ბაჟი აქამომდე გავ-

არავის არა ჰქონდეს ნება ტყე სახენავ-სათესად, ან საძოვრად გადაქციოს და თუ ამას მოინდომებს, ანერობისა და გუბერნატორისაგან აილოს ნება-რთვა, ან, სადაც ერობა არ არის, ადგილობრივ სახელმწიფო ქონებათა გამგებობისა და გუბერნატორისაგან.

ამ გვარი შესაზღვრა კერძო პირთა და მათგან უფლების ჩამორთმევა, რათა არ შეეძლოთ თავიანთ ნებაზედ ტყეები ან გაჰკაფონ, ან გადასწენ, თუმცა პირველის შეხედვით უსამართლობასა ჰგავს, მაგრამ, ჩვენის, აზრით ეს ისეთი ზომია, რომელსაც მოითხოვს ქვეყნის სიკეთე და ქვეყნის სიკეთის წინაშე კერძო კაცის უფლება უნდა დადუმდეს და საზოგადოების კეთილდღეობის ტრავზზედ შეწირულ იქმნას. თუ გადამდებ ავად-მყოფობის გავრცელების დროს სანიტარულ კომისიებს შეუძლიანთ რომელიმე სახლის პატრონს ეალად დასდონ ეზოს გასუფთავება და ჯარიმაც გადაახდებინონ, თუ არ შეასრულებს კომისიის განკარგულებას, მით უფრო სამართლიანი იქნება, რომ არც ერთს შემამუღეს აღარა ჰქონდეს ნება უანგარიშოდ, უწესოდ ტყის გაკაფვისა და გადაწვისა. იქ გადამდები ავად-მყოფობა მხოლოდ ერთს ღმას აწენს, აქ კი ქვეყნის მომავალი კერძო კავ-

უგებარი და შეუთვისებელია ჩვენის გლახ-კაცობისათვის. მკითხველი ნუ იფიქრებს, ვითომ ძველმა საქართველომ არ იცოდა სხვა-და-სხვა ბაჟი. არა, რუსეთის მმართველობის დაარსებამდის, როგორც სხანს სიგელეზიდგან და გუჯრებიდგან, საქართველოშიც ხშირად შეხედვით ბაჟს სხვა-და-სხვა ნაწარმებზე (მაგ., სოლომონ მეფის დროს ბაჟი საჩხერედგან ქუთაისში მოტანილს სამოსელზე) მაგრამ საქმე ის არის, რომ მაშინდელი სახელმწიფო მეურნეობა და აწინდელი სულ სხვა-და-სხვა იყო. საქართველოს სახელმწიფო მეურნეობას ერთი გარკვეული და ხალხის ცხოვრების შესაფერი ხასიათი ჰქონდა—სახელმწიფო მეურნეობა ბუნებრივი იყო, ე. ი. გარდასახად ხალხი იხდიდა იმ ნაწარმების მიცემით, რომელიც თითონ მოეპოვებოდა (ღვივით, პურით, საქონლით და სხ.). მგრედ წოდებული ფულბერივი მეურნეობა (денежное хозяйство) თუმცა არსებობდა, მაგრამ დიდი მნიშვნელობა არა ჰქონია; პირველი ადგილი ეკირა ბუნებრივს მეურნეობას, რომელიც ლოგიკური შედეგი იყო თვით სახელმწიფოს მარტივის აგებულებისა, ხალხის მარტივის ცხოვრებისა. მკითხველმა იქნება იფიქროს, რომ ბუნებრივი მეურნეობა შედეგადად ხალხის სიღარიბისა, მისი სიღატაკისა სრული შეცდომაა და კერძოდ ძველ საქართველოზე რომ ითქვას, გამოჩენილის გლახ-კაცის ბოლისისელი აქუღლაშვილის დასახელებაც საკმაო იქ-

ცის სიხარბით და უმეცრებით შეიძლება დიდს საშიშროებაში ჩაეარდეს.

ეს ყველა ასეა და არც კერძო კაცის უფლების შევიწროების წინაშე უნდა შევმდგარიყავით, მაგრამ, ჩვენ და სამწუხაროდ, როგორც ტელეგრაფებიდამა სჩანს, მინისტრისაგან წარდგენილი პროექტი ტყეების ხმარების თაობაზედ თუმცა დამტკიცებულია და მომავლის წლიდან დაიწყო, მაგრამ იგი ძველსა არ შეეხება.

ძირვე და კიდევ «განსხვავებული გარემოებათა» კი სამსახური გაგვიწიეს! მითქო მარტო რუსეთი საჭიროებდეს ტყეებს და ჩვენ კი მოჭარბებული გვქონდეს. საქმე კი სულ სხვაფრივ არის: «განსხვავებული გარემოებანი» არსებობენ, მაგრამ თუ მათ დაეუფლებით რასმე, ჩვენში უფრო ადრე უნდა ტყეებზედ ზრუნვა, ვიდრე რუსეთში. რუსეთში ტყეებს რომ ვაჭაფოვნ, ვაკე ადგილი მაინც დარჩება და შემდეგში ან საძოვრად გამოვლებთ, ან სახანაგ-სათესად, ჩვენში კი ტყეები უფრო აწოწილავთ კლდეებსა და მთებზე მოქცეულან, და ამ სიმაღლეებზე რომ ტყე ვაჭაფოთ, ან ტიტველა კლდე შეგვრჩებათ ან იმისთანა მალლობი ალაგვი, რომელიც ნიაღვრებით მალე ჩამოირეცხება და უნაყოფო, ხრიოკ ალაგად გადაიქცევა.

ბანმივარებით ვიტყვი, რომ ჩვენში კერძო პირთა სიხარბეს და გაუმადლობას უფრო ეჭირება ალაგმა,

ვიდრე სხვაგან და ეს საქმე ერობის საქმე უნდა იყოს; მაგრამ საცა ერობა არ არის, რა ვაქცობა, იმ დაწესებულებათ უნდა შევსრულონ, რომელნიც ერობის მაგიერობას ჩადიან.

შრიად საჭიროა, რომ ვიდრე სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ჩვენში იმყოფება, ჩვენმა თავად-აზნაურობამ მიაქციოს ამ სავანს ყურადღება და სთხოვოს მას, რომ ძველსადაც შეეხოს ის ზომები, რომელნიც მისგანვე წაჩვენებია ამ ძვირფასის ბუნებისაგან მონიჭებულ საუნჯის შესანახად და შთამომავლობათადმი პირნათლად გარდასაცემად.

შინაური ძროხისა

გუშინ შეკატეობანეთ ჩვენს მკითხველებს, რომ სასხელმწიფო ქონებათა მინისტრთან ერთად მოვიდა თბილისში მისი ძმა, გამომჩინილი რუსის დრამატურგი ოსტროვსკი.

ბევრს ჩვენს მკითხველებს ეცხადინებთ, რომ დიდი ხანია ოსტროვსკის პირველი ადგილი უჭირავს რუსის დრამატურგთა შორის და ჯერ კერძოებს შეცდომება ვერ გაუბედნია. ოსტროვსკის პიესები უფრო რუსის ვაჭრების ყოფაცხადებსა შეეხება და მისგან გამოყვანილი ტიპები თითქო ნამდვილის ცხოვრებიდან არაან ამოკრეფილი. ამ მხრავ ოსტროვსკიმ დიდი სამსახური გაუწია რუსის საზოგადოებას, მით რომ ფარდასხდა იმ «მწველიანთა სიმეფოს»,

რომელშიაც თავის-ნებობით გაკრებული მამა იყო მძახებელი და უფალი და აჯახის სხვა წევრნი მისნი მხანანი. ჩვენს სტენაზედაც წარმოდგენათ ორი მისი პიესა: შემოსავლიანი ადგილი და ბაღმინისთვის ქაღალცი.

ამბობენ, რომ ჩვენს ქართული დრამატულის დასის ანტიპეტი ამ ჩინებულს ავტორის პატივისცემით ერთ-ერთის მისის პიესის წარმოდგენას აზიურბუნო. არ იქნება ურიგო, რომ ეს აზრი შესრულდეს და ჩვენმა საზოგადოებამ დირსუელად მიიღოს ჩვენი ძალაღწევა სტუმარი.

ორპირიდან გვწერენ, რომ იქნებ შემოუღიანთ საზოგადოებამ ავტორებს, ერთი-ერთმანერთის გადაწყვა. გადაწყვათ, სხვათა შორის, ს. ხ.—მის დუქანი და პატრონი უფლებამურად დაუგდათ, გადაწყვათ კიდევ წისქვილი, რომელსაც ძმები ერთმანერთში დაბდენ; ხანთი ტუფილად კი არ გაიფიქრო, გვწერს ჩვენი კორესპონდენტი, ცეცხლის წაქიშება უწინდელსავეთ ძვირად აღარ უფლებს გაცხადო.

სოფელ წყაღამა (შოროპის მხრადამ) გვწერენ: ჩვენი სოფელი თუმცა კარგა დიდი სოფელია, ისე რომ ორჯასანის სასწავლებლის შენახვაც არ გაუჭირდებოდა, მაგრამ ის პირნი, რომელთაც ამ საქმეში მოთავეობა შეეძლოთ, არაფერსა ზრუნავენ. სოფელს ამ საქმისათვის, სხვათა შორის, შეეძლო გადავადოთ ფული, რომელსაც უკვე წელიწადს 15 ივლისს, კვირეობის იარმარას

დრეს, იღებენ აქაური მძახებლები. მამის სასოფლო-აღვალად ორსანი ქუტი გარკვა იმართება და თითო გარკვის ქირა რვა მანათი არის, ასე რომ ამ ფულით ჩინებულის სკოლის გამართვა და შენახვა მოხერხდებოდა.

ორშაბათს, 3-ს ოქტომბერს, ქალაქის საბჭომ მწუხარებით მოისმინა უწინდელის ქალაქის თავის თ. იანონ თუქანიშვილის სიკვდილის ამბავი და პატივისცემის ნიშნად ყველა ხმოსანნი ფესზე წამოდგნენ. ამის გარდა საბჭომ გადაწყვიტა, რომ მთელი საბჭო დასავლავებზედ დაესწროს. დასავლავებზედ დაესწრობა აგრეთვე ხელისულების თავი ამქებთ.

ამავე სხდომაზედ ხმოსანის აღადათოვის წინადადებით გადაწყვიტეს ამოიარჩეს განსაკუთრებული კომისია იმ კომიტეტის ანგარიშის განსასილავად, რომელსაც ქალაქისაგან დაარსებული სკოლები ახარია, და ქალაქის სასწავლებლების მდგომარეობის გასაცხადად. კომისიაში ამოჩრეულ იქმნენ: ხმოსანი გ. მ. თამაშოვი, გ. მ. თუქანიშვილი, ჩოლაყაშვილი, ორლოვსკი და წაღვანნი (კაპი).

ოქტომბრის 1-ს კიდევ ქალს გაუქნებთა ქვეტონა საპიორის ქუჩაზე და რუდოლფ გუიუს (პოლოავის) კუზოში რადანა ბოხნიო დაუტოვებთა. ბოხნიში გასხვეული სამის დღის ბავშვი ყოფილა და გულზე უზგინათ დედისაგან დაწერილი გუიუს ცოლის სახელზე ბარა-

ნებოდა ამ შეცდომის დასახანავად (ამ აქელაშვილმა დაპატიჟა მეფე მთემურაზ, ირაკლის მამა, რამდენიმე ათასის კაცი, მღაღრულად გაუმასპინძლდა და გაცილებს დროს ორლობეში რუმბებიდგან ღვინის ნაკადულები მიუშვა, მეფეს სადღეგრძელო იყოსო. იხილეთ თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-მარბელიანის თხზულება, წერილი «უწინდელს დროს ბატონ-ყმობა საქართველოში»).

როდესაც რუსეთის მთავრობა შემოვიდა ჩვენში, მას თან მოჰყვა ფულბერივი მეურნეობაც, რომელმაც დიდი ცვლილება მოახდინა ჩვენის ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში. მაცვლილება უფრო გლენ-კაცობას დაეცყო იმიტომ, რომ სახელმწიფო ხარჯი თითქმის მარტო იმას აწეა კისერზე. აღზდილი ბუნებრივ მეურნეობაში, გლენ-კაცობა, უეჭველია, აგრე ადვილად ვერ აიტანდა ახალს სახელმწიფო მეურნეობას და ამის შედეგი, ვგონებ, ენლა ყველასათვის ცხადია. ამითი იმის თქმა არ გინდა, ვითომ ფულბერივი მეურნეობა ხალხის ცხოვრებაში საჭირო არ იყოს. არა, ეს უკანასკნელი მიუცილებელი შედეგია ხალხის ეკონომიურის განვითარებისა და იქნება მიუცილებელი საჭიროებაც იყოს აწინდელი მეროპის სახელმწიფოების მრეწველობისა, რომელიც ფულით სულდგმულობს, მაგრამ, თუ არ დაევიწყებთ ვგრედ წოდებულის ნაციონალურ ეკონომიის დასაწყისს, იმ ეკონომიისას, რომელსაც მეცნიერებაშიც და ცხოვრებაშიც წარჩინებული წარმომადგენელები მოვაგებთ, მაშინ უნდა ვაღვიაროთ, რომ ყოველთვის საჭიროა

პატივი ვსცეთ ცოტად თუ ბევრად ხალხის წარსულს ეკონომიურ წყობილობას. აი სწორედ ეს უნდა ვიქონიოთ სახეში, როდესაც ყოველმხრივ გვესმის გლენ-კაცის სამღურავი არაყის გამოხდის აღკრძალვაზე. მა ან ვინ არ იცის—რა მუღმივი და ჩვეულებრივია ეს სამღურავი?

მოხელეებისაგან შედგენილს ოქმების რაოდენობას რომ დააკვირდეთ, არაყის ფარულად გამოხდის შესახებ დადგენილს ოქმებს არ უჭირავთ მცირედი ადგილი. სასამართლოები საფენი არიან ამ გვარის ოქმებით, პროტოკოლებით. მოხელეებიც, რაც დრო გადის, უფრო და უფრო იჩენენ ერთგულობას, უფრო და უფრო კანონს სასტიკად ასრულებენ. შევად, ასობით და ათასობით, იწერება პროტოკოლი—ამან ქვები არ წარუდგინა მთავრობას, მეორემ ფარულად ერთი ჩორექი ქაქის არაყი გამოხდა, მესამეს კათხაში თხლე ედგაო და სხ. ბლენ-კაცობაც, რომელსაც ყოველივე ეს ახირებულ რამეთ მიანია, გასტერებულა და დაიარება სასამართლოებში. სასამართლებენ კიდევ, სჯიან კიდევ, მაგრამ საქმეების რიცხვს კი არა აკლდება რა, თუ არ ემატება და ეს გარემოება აშკარად გვიჩვენებს—თუ რა უთანხმოება, შეტაკება არსებობს კანონის და ცხოვრების შორის. ნაჩვენები მოვლენა პირ-და-პირ ამტკიცებს, რომ ბევრჯერ დასჯით ხალხის წინება ვერ ამალდებთ, ეს დასჯა მასში მოქალაქობრივ გრძობას ვერ აღზდის და ამისათვის საჭიროა კანონმა პატივი სცეს დაარსებულს სინამდვილეს, დაბალი ხალხის უმზაკრო, მარ-

ტივს ლოგიკას. მა ეს ლოგიკა ხომ, როგორც ვსთქვით, ვერ შერიგებია იმ კანონებს, რომელნიც «ერთის ჩორექის» არაყის გამოხდისადაც კი უკრძალვენ ბედკრულს გლენ-კაცს...

ჩვენი «თერგ-დალოეული» კანონთმცოდნენი, რომელნიც, როცა რაიმე სჯა ჩამოვარდება, ლანძღვა-გინების ქარხანას მიმართავენ ხოლმე, უეჭველია, ენლაც ლანძღვას მოჰყვებიან და მიგვითითებენ იმაზე—თუ რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო მეურნეობისათვის საზოგადოდ ბაქს და კერძოდ ბაქს სასმელებზე. მაგრამ, რაც საჭირო და სასარგებლოა იქ, სადაც ქამთა და დროთა ბრუნვამ ეკონომიური ცხოვრება განავითარა, წარმატების გზაზე დააყენა, ვგრედ წოდებული შრომის განაწილება ცხოვრების დედა-ძარღვად შექმნა და სხ.—ყოველივე ეს არ გამოდგება იმ ხალხისათვის, სადაც ერთი და იგივე კერძო პირი სხვა-და-სხვა შრომის შემსრულებელია. ჯერ რუსეთშიაც, სადაც ხალხი დიდი ხანია შეეჩვია ფულბერივს მეურნეობას და მრავალგვარ ბაქების კანონიერობას, რუსეთშიაც კი, ვამბობთ ჩვენ, ვერ შერიგებია უმრავლესობა არაყის ბაქს და დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც «кабацкий вопрос»-მა ალაპარაკა მთელი რუსეთი. ჩვენზე ხომ უფრო მეტი უნდა ითქვას და ეს იმიტომ, რომ ჩვენი დაბალი ხალხის ეკონომიური ცხოვრება სხვა-ნაირია და უმეტესად იჩაგრება სხვა-და-სხვა ბაქისაგან და რომ ყოველივე ეს მართალია, სხვათა შორის, მტკიცდება მით—თუ რა ნაირის უკმაყოფილე-

ბით უტკერის ჩვენი გლენი არაყის გამოხდის აღკრძალვას...

არაყის გამოხდის აღკრძალვას უნებლიედ მაინც შეურიგდებოდა ხალხი, მაგრამ საქმეც ის არის, რომ თვით კანონები, რომელნიც ამ აღკრძალვას ბრძანებენ, ჩვენი დაბალი ხალხის ცხოვრების შეუფერნი და შეუბამისნი არიან და აი სწორედ ეს გარემოება უფრო ავიწროებს გლენ-კაცობას. მართლაც—რა საძირკველზეა ამოყვანილი აწინდელი სასმელების აქციზის წესდებულება (Питийный устав)? ამ წესდებულებას საძირკვლად ქვეშ უდევს ახალი დროის მრეწველობის ფორმა—დიდი თანხა და ამ თანხის წარმოება. ძირვე ამისათვის წესდებულება თითქმის ყოველს მუხლში ლაპარაკობს «ზავოდ-ზე» და მკითხველს ხომ კარგად ეცოდინება, რომ «ზავოლი» და კაპიტალისტი ღვიძლი ძმები არიან. ჯარიმაც (ხშირად ხომ ამას სხვა დასჯაც ზედ ერთის) ამოყვანილია «ზავოდის» ყალიბზე, გამოჭრილი კაპიტალისტის შეძლებაზე. ასეც უნდა იყვეს, თუ სახეში მივიღეთ—რა ნაირის მეცნიერული და ტენიკური იარაღით არის შეჭურვილი ჩვენს დროში «ზავოდის» მოქმედება, წარმოება. მაგრამ როდესაც იმავე წესდებულებას ცნება «ზავოლი» გამოვამქვს ჩვენში და საწყალი გლენის ქვებს, რომელშიც ერთი ბატკანი ძლივს მოთავსდება, «ზავოდად» აღიარებს, თუ კი იმ ქვებში ფარულად არაყი გამოხდეს, მაშინ გაუგებრობის მეტი არა გამოდისრა. ჯარიმისადაც ჩვენში ვგრედ წოდებული აქციზის გამგეობა «ზავოდის» წესზე ან გარიშობს და

თი შემდეგის შინაწესით: ყმაწვილი სპის დღასა, ჩამომავლობით თავდა; რადგან შენ შეიღო არა გუგავს და ვიცით, რომ გუგავსი დედა-განი ხარ, როგორც ქართველი (გუგავსი ცოლი ქართველია), ამისათვის გაძლევთ ამ ყმაწვილს შენ და გთხოვთ იშვილოთ და გაზარდოთ, რადგან მე, დედას, მისი აღზრდა შეტყობინებს ლეჩქის დაკარგვის გამო».

ჩამონის მოხუცებულუბის საუბრად-ღამოდ.

აქმულ არს: სიწყნარე გამოილი სეფოს სიჩქარესა ქვეულსა. რუსთაველი.

ერთი მუყე იყო თურმე, რომელსაც იმ ზომამდის უყარდა ღვინის მომეტე-ბული სმა, რომ ყოველ დღე ეს დიდებული და ქვეყნის მშობრბული განიხლებით გა-მოქტობდათ შურის საკმელ დაბნადამ. ერთ დღეს ღვინისაგან თავს რე-დასხმუ-ლი მუყე გამოვიდა თავის სახლის ბაღ-გონზე, სადაც თამაშობდა ხეთის წლის ბავშვი, მეფის ტანტის შემკვიდრე მეფეს როგორღაც არ ესამოგნა ბავშვის თამაშობა და გარტყა სილა; ეს სილა ისეთი მოუვიდა გონება-მისდილს მეფეს, რომ სახლად ბავშვი უიარსოდ გადაბრუნდა, გადავარდა ბაღგონზე და იქვე სული დაღა.

შვილის სამწარით გაცრფებულმა დე-დოფაღმა მოახდინა ფიცხული განკარ-გულება და რაც მის სახმანებელში ღვი-

ნო მოაპოვებდა ერთიანად გადაღრე-ვინა!! ამასაც აღარ დასჯურდა და გან-ხად დასდგა,—იმ დღის შემდეგ ვინც მის სახმანებელში ღვინოს დაღვედა, უთუოდ სიკვდილით უნდა დასჯილი-ყო!!!

ეს დესპოტური განკარგულება მტეი-ცედ სრულდებოდა, სანამ ერთმა გონი-ერმა, და ენამწვერმა ვეზირმა არ აღა-მაღლა ხმა წინაშე დედოფლისა, და არ დაუმტყინა თვისი შედგამა: თქვენი შვი-ლის მკვლელი მხოლოდ თქვენი ქრმის წინ დაუსდევლობა, ზომის გარდაბი-ვება და გაუმძღრობა არისო, და არა საზოგადოება და ღვინოვო,—უბნებოდა ვეზირი; თუ გრე გნებოთ, თქვენს ქმარს აღუგრძელეთ ღვინის სმა და მის დაუღვეით განონი, რომ იმდენი აღარ მიიროვას, რომ ჭკუა-გონება დაჭარბოს და რამე უბედურებას შეემთხვასო; თა-რემ საზოგადოებას, რომელიც ზომიე-რად ხმარობს ღვინოს და არაფერს არ ანაბებს, რაზედ უხუთავ სულს, რას ეძარტლებო?

სწორედ ეს ახირობული და ყოველ-გვარ სამართლიან საფუძვლებს მოკლე-ბული განკარგულება შემოხსენებულ არა-ვი ნახვების დედოფლისა დამიყენა თვალ წინ, როდესაც წავიკითხე «დროე-ბისა» 159 ნომერში დაბეჭდილი ამბავი შესახებ იმისა, რომ ჩვენის გუბერნიის ზოგაერთა მოხუცებულებს განუზრახავით და მერცანებებენ კიდევ, რომ ჩვენს სახსს იარაღი ახადონ! იმ უსამოგნო შემთხ-ვევების მთავარ მიზეზად, რომელიც ასე განშირდა ამ უგანასხელ ხანებში ჩვენში, ე. ი. გაცის-კვლა, ცარცვა, განს-

რახ ცენსლის წავიდება და სხვა ამ გვა-რები, პატრიარქული მოხუცთ უჩინათ მარტო ის განქმება რომ ჩვენს სახსს იარაღი ახადონ!! და როგორც «დროება» გვატყობინებს, განდაუწვევტათ კიდევ, სთხოვონ ახალს გუბერნიის უფროსს, რომ საზოგადოდ ჩვენს სახსს იარაღი ახადონ!!

ეს განზრახვა და სურვილი იმ ზო-მამდის უსამართლოდ და უსაფუძვლოდ გვაქვენება, რომ არ შეგვიძლიან რაიმე-სიტყუა არა ვსთქვათ ამ საგანზედ. უპე-ლასე ვირველად ის უნდა შევნიშნოთ ჩვენს რეპორმატორ მოხუცებულებს, რომ მათ სრულიად გერ მიუგნიათ იმ ბორატ-მოქმედებათა მთავარ მიზეზე-ბისათვის, რომელიც ჩვენში, ხდება სოფლე და იარაღი ტუფილ-უბრალად აუღიათ საგნად, რადგანაც ერთი და უმთავრესი მიზეზი ყოველ გვარ ბორატ-მოქმედე-ბის გავრცელებისა, როგორც საკმაო გამოცდილება და უანგარიშო მავალითე-ბი აშკარად გვიმტყინებენ, არის არა თუ იარაღი; ბორატ-მოქმედების ჩამდენი ვირის ხურობითი სიმდაბლა, ხურობითი გარყვან, საზოგადოდ გაუნათლებლობა, აღამიანურ გზასად დაუფრებლობა. კიდევ რომ აღსრულდეს მოხუცებულთა სურ-ვილი და სახსს იარაღის ტარება აღუგრ-ძელან ნუთუ წარმოასდგენიათ, რომ ამით აგ-კაცობა და ბორატ-მოქმედება მოის-პოს; რადგანაც თუ კაცია ხურობით ბარ-ბარობა, გაცის სახსლის უბრალად დაქ-ცევას ცრფად, საზინდარ მოქმედებად არა სთვლის, იმას თაფი და დამაზან რომ არა ჭქანდეს თან, მანაც აღვილად

მოახსენებს თავის მსუქნარე გუნდსხვის ასრულებას და გაცის მტკიცესს! ამ ქლ-გით თუ ვისეღმძღვენებოთ, ჩვენ ვირ-და-ვირ იმ დასკვნასედაც მიავლთ, რომ საჭიროდ დაინახავთ ისიც ვითხოვთ, —ჩვენს ქვეყანაში ცენსლიც მოახონ და მისი რჯანში ახთების უფლება აღა-რავის მისცენ...

შეიძლება უველადფერი ითქვას ჩვენს სახსზედ, მის ხურობასზედ და იმის თქმა ვი აშკარა უსამართლობა იქნება, რომ მას თავის იარაღი მუყდრო, მშვი-დობიანი ცხოვრების დასარღვევად და თავის მოძმის საკლავად ეკდოს. რიცა შევხება იმას, რომ ზოგაერთი ხურობით დაცემული ვირები სხნდობიან ჩვენში, რომელიც მართლაც ურავოდ ხმარობენ იარაღს და აღვევენ მშვიდობიანობას, ეკ მარტო ჩვენში არავის ეგონოს. არც ერთი ერი არ მოიპოვება დედა-მიწასზედ ისეთა, რომელშიაც არ ერიოს თითო-ოროლას ამ გვარი ხურობას და პატრიოს-ნებას მოკლებული ვირები, მაგრამ ერ-თის შედგომისათვის ათასის დასჯა და სახელის გატეხა ვის განუზრახავს?!

საუბრე მოკლენად ჩათვლება, რომ დღემდის მიუხუბული ჩვენი ძველი თა-ბა დღეს იღვიბებს და უურადლებას აქ-ცევს ჩვენის ცხოვრების ურავო და მკ-ნებულ მოკლენებათა. ჩვენ, რასაკვირვე-ლია, მისარულება ვკმართებს და დიდის სამოკუნებოთაც ამოკუდგებოდით მხარში, თუ რომ ისინი გალაშქრებულიყვნენ მარ-ტო ბორატ-მოქმედთა წინააღმდეგ. ეს ვირები ხომ საზოგადოებამ კარგად იცის, ვინც არაინ. მაგრამ მოხუცებულნი ამ

როდესაც ერთგული და მომავალი ჯილდოთი წაქეზებული აქციონის მო-ხელე უბეჭდავს გლენ-კაცი პატარა ქვაბს, ოქში კანონის სიტყვით სწერს «ზავოლი დაბეჭდვო». მთიულის სა-ცხერე ქვაბი და «ზავოლი»—განა, მკითხველო, ამაზე მეტი ერთი ერთ-მანეთის წინააღმდეგი ცნება კიდევ-ლა იქმნება?! მრჯერ და სამჯერ გლენმა რომ ქვაბში ფარულად არა-ყი გამოხადოს, აქციონის გამგეობას ჯარიმა «ზავოლის» წესზე გამოჰყავს და ორ-სამ თუნგს არაყს ას თუმანზე მეტს ანგარიშობს!... მღენ-კაცობაც გასტერებულა და არც თავის თავისა-გნის რამე, არც კანონისა. საყურა-დღებო კიდევ ის არის, რომ თვით კანონსაც აკლდება ხნეობრივი ძალა, აღმზღელი გაელენა საზოგადოებაზე. თუ მართლა, რომელიც არ იყ-ვეს, კანონი «დაწერილი გონება», საჭიროა კანონმა პატრიე სცეს ხალ-ხის გონებასაც, მის ხნეს, ჩვეულებ-ბას, თორემ მუდამ შუღლის და შე-ტაკების მეტი არა იქნებარა ცხოვ-რების ნა კანონის შორის. და ეს შუღლი, შეტაკება ხომ არაოდეს და არავისათვის საწარტრელი არ არის. მართალია, ამ მაგნებელს შედეგს ბევრად ასუსტებს, აქარწყლებს ჩვენის ოლქის სასამართლოების პრაქტიკა, რადგანაც ხშირად ოლქის სასა-მართლო ჯარიმას ანგარიშობს გა-მოხდილი არაყის ღირებულობის მი-ხედვით და არა «ზავოლის» წესით; მაგრამ პრაქტიკა ხომ კანონი არ არის და ან კიდევ სასამართლოს გა-ნაჩენი—დაწერილი უფლება. შფრო ცუდი, რომ სასამართლოს და აქ-ციონის გამგეობის შორის უთანხმოე-

ბა გამოდის—ეს ხომ უფრო ამცი-რებს ხალხის თვალში კანონის ხე-ობრივის ძალას, სახელს უტყობავს მას. და აი ამის დამამტკიცებელი სურა-თიც: აქციონის მოხელე მატემთიკუ-რი სინამდვილით ამტკიცებს და თან ხელშიც დაბეჭდილი ანგარიში უჭი-რავს—ას სამოცი თუმანი მერგებო, სასამართლო კი უწყვეტავს რამდენი-მე მანეთს თავის მიუცილებელი გრო-შებით. არ სთანხმდებიან, აველაცია გადაქეთ; გლენ-კაციც დასდევს საქ-მეს და ყოველივე ეს მიტომ, რომ «ზავოლი» და საცხერე ქვაბი ერთი და იგივე არისო!..

როგორც ვსთქვით, სასმელების აქ-ციონის წესდებულებას ქვა-კუთხედ მი-ღებული აქვს აწინდელი კაპიტალის-ტური წარმოება და მთელი კანონე-ბიც მასზე არიან დაფუძნებულნი. რადგანაც დიდის თანხის პატრონთან აქვთ საქმე, აქციონის კანონები დაწ-ვრილებით მოგვიტხრობენ ყოველ-გვარ დანაშაულობას; მაგრამ ჩვენში ამას აღვილი არ უნდა ჰქონდეს, ამისთვის რომ ჩვენში კაპიტალისტუ-რი წარმოება, მეტადრე გლენ-კაცო-ბისათვის, გაუგებარი მოვლენაა და რაც დანაშაულობა უნდა იყვეს სხვა-გან, ის ჩვენში დანაშაულობად არ უნდა ჩაითვალოს. თუ სადამდისინ მიდის უთანხმოება კანონსა და ცხო-ვრების შორის, სიანს შემდგეის მაგა-ლითებდგან: ავიღოთ მასალა, რომ-ლიდგანაც სასმელი უნდა გამოიხა-დოს. ხშირად ეს მასალა სხვა რამე-სათვისაც არის საჭირო და არა მარ-ტო სასმელის გამოსახდელად. სიმინ-დის რომს, მაგ., გლენ-კაცი ხმარობს საქონლისათვის და თუ ეს მასალა


უპოვეს მას სახლში და იქვე კათხას გვერდით ქვაბიც, მაშინვე წინ კა-ნონს წამოაყენებენ და ოქმი მზად არის—წადი და ირბინე სასამართ-ლოში. არ ვნებავთ მასალა, ავიღოთ ქვაბი, მეტადრე ორ ყურიანი. თუ გიპოვენს, გიჩივლებენ, რატომ მთავ-რობას არ აჩვენებ და კიდევ გადა-განდევინებენ ჯარიმას, თუნდაც არა გამოგნებოდეს—რა საკვირველია და შე-სანიშნავი, რომ კანონი ყველაფერს დაწვრილებით მოგვიტხრობს და ჩვე-ნის გლენ-კაცობის განსაკუთრებულს ცხოვრებას კი ყურადღებას არ აქ-ცევს. მასალის მომზადებას, ქვაბის არა ჩვენებას რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იქ და იმ ხალხისათვის, სა-დაც ერთსაც და მეორესაც აქციონთან საქმე არა აქვს მაგრამ კიდევ ის არის, რომ კამონი, რომელიც გამო-წვეული იყო სხვა ხალხის ცხოვრე-ბის საჭიროებით, ჩვენს განსაკუთრე-ბულს ცხოვრებას მნიშვნელობას არ აძლევს და აწინდელი «ზავოდური» მრეწველობა გადმოაქვს იქ, სადაც ეკონომიური ცხოვრება ჯერ ისევ მარტივია, სადაც თვით სიტყვა «ზა-ვოლი» გუშინდელი სიტყვაა.

შოველსავე ზემოდ ნათქვამს ერთი გარემოებაც უნდა დაუფიქროთ, რომ-მელიც უფრო აღიდებს უფსკრულს კანონსა და ცხოვრების შორის, სა-ხელდობრ ჯილდო აქციონის მოხელე-ებისათვის დადებული, როდესაც ისი-ნი კანონის დარღვევას აღმოაჩენენ. აღებული ჯარიმიდგან სახელმწიფო ნაწილსაძლევს მოხელეს მისთვის, რომ მოხელე უფრო ერთგული და ფხსხელი იყვეს, უფრო მუყათი სამ-სახურისა. ეს ჯილდო, რომელიც

დადებულია ჯამაგირის გარეშე, ხში-რად ჰხადავს ბორატ-მოქმედობას მოხელეების მხრით, ხშირად მოხელეს თვალ-წინ დანაშაულობას უხატავს იქ, სადაც ეს მხოლოდ მოხელეს ერთგულების ნაყოფია. მოხელეს რა-ენაღვლებო—რასაც ბევრს დანაშაუ-ლობას აღმოაჩენს, იმდენს უფრო ბევრს ჯილდოს, საჩუქარს მიიღებს. ძიდევ ამიტომ მოხელეები თითქო-ერთი ერთმანეთს ეჯიბრებიან—არა-მე უფრო ბევრი ოქმები და პრო-ტოკოლები შევადგინოვო. თუ მკით-ხველი არ დაიფიყვებს—რა ხშირია ეხლა ცუდ-უბრალოდ აქციონის მო-ხელესაგან ოქმის შედგენა, მაშინ მისთვის ცხადი იქმნება ისიც—რა ხნეობრივი შედეგი და შევიწროება-ზედ ერთის ჯილდოს, საჩუქარს. მღენ-კაცობა ამ შედეგს ჰხედავს, მვეიწროებას გრძნობს.

ჩვენ არ შევიუდგებით იმის გან-ხილვას—თუ როგორ არაყის გამო-მობლის აღკრძალვამ ჩვენი გლენ-კა-ცობა სხვა-და-სხვა მდელქმების ხელში ჩაჰყარა, მყუდრო კერას მო-აშორა და თვეი მოუყარა დუქანში, რომლის ზედ-წარწერა «распивочно и на выносъ» ზღაპრათაც არ ეჩ-ვენებოდით ჩვენს წინაპართა. ამაზედ მეტად ბევრი თქმულია ჩვენს ვახეთში და ჩვენი თქმა მარტო გამეორება იქნებოდა.

26 სექტემბერს, 1883 წ. სურბენელი. გორის კვირეულში, ახილდობს



გზას არ ადგანან. პირ-ქით, ბერძენი მადლითაა იმის დამამტკიცებელი, რომ ჩვენი ძველი თაობა იბრძლებს, ხელს უშინებდა ბოროტ პირებს, ან ქაჩტიც:

ჩვენს გულისკრთად ერთი უფლებები მინიჭებული მთავრობისაგან, რომ საგუბერნიო უდიდობაზედ რასაც ვსთხოვთ ჩვენს საზოგადო საჭიროებაზედ, ერთს იმთავანს მაინც აგვისრულებენ ხელში; ესეა ვინაოთ, რას თხოვლობენ ისინი, რომელთაც კრებაში ხმა აქვთ (ესენი უფრო მოსწრებულებს დასს კუთვნიან); მათი სათხოვარი წარმოდგენს შემდეგს: «ესთხოვით მთავრობას ესა და ეს დამხმარე, რომელიც ციმბირში არის გვახატოს, დაგვიბრუნოს, ან ესა და ეს ტუსადი გამომიშვას სატუსატო-დამა» ამ გვარ მაგალითებს რომ ვუკვირდებით მოსწრებულთა ასადი აზრი როგორცღაც შეუსაბამოდ გვეჩვენება.

ქაიხოსრო გელოვანი.

თულისა 32 მადანია. პირობათა გასინჯვა შეიძლება მზრუნველობის კანცელიარიაში ყოველ დღე. გარდა კვირისა და უქმე დღეებისა, 10 საათიდგან, ვიდრე 12 საათამდე. (3-1)

სასტუმრო (გოსტინიცა)

„იხალია“

ნიკოლაევის ქუჩაზე, მორონცოვის ძეგლის (პამიატნიკის) მახლობლად ჩემს საკუთარს სახლში.

ნომრები მშვენიერად მორთულია ელექტრიულის დასარევის ზარით და მარდი მოსამსახურეებით. სასტუმროსა აქვს ბუფეტი. შასი ნომრებისა, საქმიელებისა კარტით და სასმელებისა ნაკლებია.

სასტუმროს ჰატრონი ბ. სარქისოვი. (30-11)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

შეადარეთ ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაის
1 მ. 10 კ.	1 მ. 40 კ.
— — 1—20	— — 1—60
— — 1—40	— — 1—80
— — 1—60	— — 2—
— — 1—80	— — 2—50
საუკეთესო 2—	— — 3—

იქვე ისუილება სხვა საქონელიც: თოფები, რეკლამები, კრაფტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასადებები, დანები, გოგზები, ტაშტები, კაღები, ქაღალდი, შოკოლადი, გაგაო, კანფები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონგა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენგორი—სულ

უკლავფრი 25-დამ 50 პრაცენტით უფრო აიაფად, ვიდრე სხვა რომელსავე მაღაზიაში.

ვინც ქაღაქს გარკადამ 25 მანეთიდან 1,000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაჯ.ზაგანს არაფერს არ ისდაის. (100-45)

გერძო საქმეების ვეტილი 3. მ. ალბედინსკი

გადავიდა სოლოლაკის ქუჩაზედ, სპანდარიანის სახლში, № 42, საადგილ-მამულო ბ. ნ. კის პირ-და-პირ. (10-5)

ლაპით კაჯალი

აწარმოებს ვეულს ნაირ საქმეებს, განსაკუთრებით სასისხლო სამართალში.

საპიორნის ქუჩა, ზაბლოცკის სახლი. (10-6)

რუსეთი

—«რუსეთი პურიის» იწერება, რომ ბელინსკის ქერივი თანხმდება თავის გამოჩენილი მეუღლის კუბოს გადატანას და ტურგენიევის ვერით დამარხვასაო.

—ამა წინად ერთი საზიზღარი კაცის კვლა მოხდა: პეტერბურგში, ვილაცა მირონოვიჩის სადგურში, იბოგნეს მკედარი 11 წლის ქალი, სარრა ბეკერი, რომლის სიკვდილს და ძალ-დატანებით გაუპატიურებას აბრალებდნენ თვით მირონოვიჩს. ამ საქმის თაობაზე ეხლა იწერებიან ტელეგრამით, რომ 9 სექტემბერს მისულა ქალაქის უფროსთან ერთი ახალგაზდა, რივიანად ჩაცმული მანდილოსანი, რომელსაც გამოუტყდა ბია, რომ ბეკერი მე მოკვალიო; მანდილოსანი დაუტყუალებიათ.

«დროების» ფოსტა.

ს. ვ. — ს. ბ. — ძეს. თქვენი ფილცონი არ იბეჭდება. კორესპონდენციებს მოკლედ დაგუქდავთ. გამდლობთ წერილებსათვის, მაგრამ... უგრძელი სიტყვა-მოკლედ ითქმის... ეს ანდაზა პროზასაც რომ შეუფეროთ, არ იქნება ურიგო.

ა. ბ. — ჩიას. თქვენი ხელის-მოწერის ვადა გათავდა აგვისტოს გასულს.

განსხვავებანი

ნერსესიანის სომხური სასულიერო სემინარიის მზრუნველთა რჩევაში ოქტომბრის 12-ს, სადამოს 7-ს საათზედ, იქნება ვაჭრობა (ტორგი) ვაჭრობის განუმეორებლად (უპერეტორეკოდ) იჯარით ვაცემისა ძველი სემინარიის ქვედა სართულისა, რომელშიაც გამარ-

სახლი ჩამ

ცვის წყალი

განსაკუთრებით სსსრგებლოა იმათთვის, ვინც კულს იტკივებენ;

შაველს ოთხში აფრცელებს ბალზამის სუნს ფიჭვის ტყისას.

ეს წყალი კუთვნიან მარტო მარშავის მივიზრ ლაორობორიას.

შასი ფლაკონისა 1 მ. 50 კ., 1/2 ფლაკონისა 1 მ., 1/4 ფლაკონისა 40 კ.

შთაერესი დეზო მარშავაში  
С-то Ерекая ул. № 12. (3-3)

საგლობუსო კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთადერთი სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებული სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ფიგურის „სხელისათვის“—25% აიაფად, ვინც სსსაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანფები, რეკლამები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუქსინები, ზორსიგარები, ალბომები, რამპები, მაკრატლები, სამართებლები, სახთოფი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმეად (ბორაგსა), თუთრულისათვის, ჰატარა ხაღვი ოატკისათვის კლიანგები, ტასტები, სავარძლები, სარკები, სავარცხლები, ბუნძენი, ზარები, ბინოკლები რუკეტები, ვატერმასები, მისის-სათები, კომპასები, ტერმომეტრები, მუწკები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, ჰომოჩი, ქამრები, სარტლები. საუკლუო, პრობები, სპრობები, კრანები, ფილტრები, შინოტკესათვის. ტანისამოსის, ცხენის და ჰატერტანის მაკინტოშები, კრავები, საკეიმო ქაღალდი ვატერ-კლანსეთისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშქი—20 კ. (100-92)

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე 1883 წ.

გამომცხვარი ჰური რუ-	სუთის ფეჭილისა	აჭაურის ფეჭილისა: პირ-
ველის ხარისხისა	— — — 1 გ. 2 1/2	მეორისა — — — 1 გ. 2
ამავე ფეჭილ. თორნიში გამომცხვარი:		
პირველის ხარისხისა	— 1 გ. 5	მეორისა — — — 1 გ. 3
მესამისა	— — — 1 გ. 2 1/2	
ჯვარის-მამის ჰური:		
პირველის ხარის. ლავაში	1 გ. 5	მეორის ხარის. ლავაში 1 გ. 3 1/2
მესამისა	— — — 1 გ. —	
ძროხის ხარცია:		
პირველის ხარისხისა	— 1 გ. 8	მეორის — — — 1 გ. 7
სუფი . . .	— 1 გ. 15	ცხვრის ხარცია — 1 გ. 8

რკინის გზა

თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით.

თბილისიდან ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ 11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.

ბაქოდგან თბილისისკენ 10 საათზედ და 23 წამ. დილისა.

ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათზე. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილისა.

ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილისა.

ფოთიდან ბათუმიდან მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 7 საათ. და 49 წამ. დილისა.